

ავთანდილ ლაფაჩი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნიის
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

სამეწარმეო სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის შეფასება

ანოტაცია

საწარმოთა მდგრადი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება გამოხატული იქნეს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი სისტემით, რომელშიც ყოველმხრივ იქნება ასახული საწარმოს ბალანსის სტრუქტურა. მაგრამ ამ მაჩვენებელთა სიმრავლე ზოგჯერ ართულებს ბიზნესსაქმიანობის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას. ამიტომ მიზანშეწონილია უპირატესობა მივანიჭოთ მაჩვენებელთა მხოლოდ ნაწილს, დამატებით შემოვიღოთ ისეთი კოეფიციენტები როგორიცაა: დავალიანების, ვალდებულების გადახდის ვალდებულების, საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის და ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები. აგროსაწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილად შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი, რომელიც უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემს საწარმოს (ფირმის) ფუნქციონირების ეფექტიანობის კომპლექსურ შეფასებაზე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ეფექტიანობის მაჩვენებლები, დავალიანების კოეფიციენტი, ლევერიჯი, ეფექტუაობა.

სამეწარმეო სუბიექტების ფინანსური მდგომარეობის შეფასება

ეკონომიკური ზრდის თეორია ითვალისწინებს ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორიცაა ფინანსური ეფექტიანობა, საწარმოო და საფინანსო ლევერიჯი. საწარმოს და ფინანსური ლევერიჯის შეფასებათა მაჩვენებლებში სარეკომენდაციო მაჩვენებლად მიგვაჩნია ინტეგრალური ლევერიჯი, რომელიც სრულად გამოავლენს საწარმოში ეკონომიკური ზრდის საერთო შესაძლებლობებს.

გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი შესაძლებლობას არ იძლევა სრულად შევაფასოთ აგრობიზნესის ფინანსური მდგომარეობა, რამდენადაც იგი უფრო მეტად, გამოხატავს საწარმოს ვალდებულებას აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი სისტემით, რომელშიც ასახული იქნება საწარმოს ბალანსის შემდეგი სტრუქტურა:¹

1. ავტონომიის კოეფიციენტი – საკუთარი საშუალებები შეფარდებული საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამთან). სარეკომენდაციოდ მისაღებია ≥ 0.5 ;
2. ფინანსური არამდგრადობის კოეფიციენტი – ნასესხები კაპიტალის შეფარდება საკუთარ საშუალებებთან. მისაღები მაჩვენებელია 0.25-1.00;
3. მობილური და არამობილური საშუალებების შეფარდების კოეფიციენტი- ეს არის დანაზოგი თანხის, ხარჯების, ფულადი საშუალებების შეფარდება დანარჩენ არასაბრუნავ აქტივებთან;
4. საწარმოო დანიშნულების საშუალებათა კოეფიციენტი – ძირითად საშუალებათა ღირე-

¹ იზოლდა ქილაძე „ფინანსური ანალიზი“ თბილისი 2011 წელი.

ბულების საწარმოო მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების ღირებულების შეფარდება საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამი). მისაღებია ≥ 0.5 ;

5. ძირითად საშუალებათა ღირებულების კოეფიციენტი – ძირითად საშუალებათა ნარჩენი ღირებულების შეფარდება საწარმოს ქონებასთან (ბალანსის აქტივების ჯამი).

6. კრედიტორული დავალიანების კოეფიციენტი – გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების შეფარდება, მზა პროდუქციის, დებიტორებთან ანგარიშსწორების და სხვა საბრუნავი აქტივების ღირებულებასთან. მისაღები მნიშვნელობაა ≤ 0.2 ;

7. დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი – (ნასესხები და საკუთარი საშუალებების შეფარდების კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი). მისაღები მნიშვნელობაა > 4.0 ;

8. გაკოტრების კოეფიციენტი – საიჯარო ვალდებულების, დამფუძნებლებთან გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულების ანგარიშსწორების თანხის შეფარდება, გრძელვადიანი, მიმდინარე აქტივების თანხასთან. მისაღები მნიშვნელობაა < 0.5 ;

9. ავტონომიის კოეფიციენტი – საკუთარი საშუალებების თანხის შეფარდება გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების თანხასთან. მისაღები მნიშვნელობაა ≥ 0.5 ;

10. ფინანსური დაძაბულობის კოეფიციენტი – სხვაობა ერთეულსა და ავტონომიის კოეფიციენტს შორის. მისაღები მნიშვნელობაა < 0.5 ;

11. მიმდინარე მარაგებით და დანახარჯებით შექმნილი საკუთარი საბრუნავი

საშუალებების კოეფიციენტი – საკუთარი საშუალებების წყაროს გამოკლებული გრძელვადიანი აქტივები და შეფარდებული მიმდინარე აქტივების ღირებულებასთან. მისაღები მნიშვნელობაა $0.5-0.6$;

12. ძირითად საშუალებათა განახლების კოეფიციენტი – ცვეთის შეფარდება გრძელვადიანი აქტივების პირველდაწყებით ღირებულებასთან;

13. ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი – რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული რენტაბელობის ზღვარი, შეფარდებული რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან;

14. დავალიანების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი – მოგების (გადასახადები გადახდამდე) შეფარდება წლის განმავლობაში გადახდილი პროცენტის თანხასთან. მისაღები მნიშვნელობაა ≥ 3.0 ;

ასეთი მრავალი მაჩვენებელი ართულებს ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ეკონომისტები იყენებენ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მხოლოდ ნაწილს.

მოტანილი მაჩვენებლების ანალიზი მოწმობს იმას, რომ მათი უმეტესობა წარმოებულია ნასესხები და საკუთარი საშუალებების შეფარდებისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს კოეფიციენტები, რომლებიც გამოსატყვის ქონების, ცვეთის, ვალების დაფარვისა და ფინანსური მდგრადობის ღირებულებებს.

ამასთან დაკავშირებით, აგრარული სფეროს ბიზმესმენებს საკუთარ საწარმოთა ფინანსური შეფასების გასაჯანსაღებლად შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი მაჩვენებლები:¹

1. დავალიანების კოეფიციენტი – K

$$K = \frac{\sum \text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი}}{\sum \text{აქტივები}} ;$$

$$K = \frac{\sum \text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი}}{\sum \text{საკუთარ საშუალებათა წყარო}}$$

¹ იზოლდა ჭილაძე, მარინა მაისურაძე, ნანა სრესელი, ნადეჟდა კვატაშიძე, ლევან საბაური, მერაბ ჯიქია, მარიამ ვარიამვილი – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ თბილისი 2024 წელი.

2. ვალების გადახდის ვალდებულების კოეფიციენტი – K

$$K = \frac{\text{საექსპლოატაციო მოგება გადახდების ანაზღაურებამდე}}{\sum \text{პროცენტის თანხა}}$$

3. საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი – K

$$K = \frac{\sum \text{საკუთარ საბრ. საშუალებათა წყარო} - \sum \text{გრძელვადიანი და სხვა არასაბრ. აქტივები}}{\text{მიმდინარე მარაგები და დანახარჯები}}$$

4. ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი – K

$$K = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{რენტაბელობის ზღვარი}}$$

დავალიანების კოეფიციენტი მეწარმეს უჩვენებს თუ რამდენად ეფექტურად ფინანსდება მისი აქტივები კრედიტორების მიერ. კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 0.5-ს. მისი გაანგარიშების დროს შეიძლება გამოითიშოს მოკლევადიანი ვალდებულებანი, მაშინ, როცა აღიშნული მაჩვენებელი ტოლი იქნება გრძელვადიან ვალდებულებათა მუდმივ (ცვალებად) კაპიტალთან შეფარდების.

სინამდვილეში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები იმყოფებიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. ამიტომ, ბიზნესმენმა აუცილებელია იცოდეს საბრუნავი საშუალებით უზრუნველყოფა, რომელიც გამოიხატება შესაბამისი კოეფიციენტით, იგი შეიძლება ტოლი იყოს 0.6-0.8-ის, რაც ბიზნესმენს საშუალებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილება რითმულად შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესები.

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელია გავიანგარიშოთ პროცენტის დაფარვის ხარისხი, რომლის მნიშვნელობა უნდა აღემატებოდეს 3-ს. ასეთ შემთხვევაში ბიზნესმენი დაზღვეულია გაკოტრებისაგან.¹

ყველა შემთხვევაში წარმოდგენილი მაჩვენებელი გამოხატავს ფინანსური მდგრადობის რომელიც დაეკრთა-ერთ-ერთ მხარეს. პრაქტიკაში კი, აუცილებელია აგრარული საწარმოს კომპლექსური შეფასება. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი- K

$$K = 3V \text{ Kდავალიანება} \times K_{\text{მიმდ. ლიკვიდურობა}} \times K_{\text{ვალების დაფარვის ვალდ-ბა}}$$

ამ შემთხვევაში დავალიანების კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 0,5-ს, ხოლო მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3-ზე მეტი. ამიტომაც, ჩვენს შემთხვევაში დავალიანების კოეფიციენტმა უნდა წარმოქმნას საკუთარი საშუალებებით ნასესხები საშუალებების უზრუნველყოფის კოეფიციენტი (K)

$$K = \frac{\sum \text{აქტივები.}}{\sum \text{მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებანი}}$$

სესხის საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს 0.5-ს. მაშინ ოპტიმალური ფინანსური მდგომარეობის ინტეგრალური კოეფიციენტი ტოლი იქნება 1.45-ის.

მაგალითად: შევაფასოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

¹ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური – „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 570“ თბილისი 2018 წელი.

– დავალიანების კოეფიციენტის, ანუ ნასესხები საშუალებების უზრუნველყოფა საკუთარი საშუალებებით;

– ვალების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი;

– საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

– ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი.

დავუშვათ, წლის ბოლოს საწარმოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულების თანხა შეადგენს 480.0 ათას ლარს; ხოლო ყველა აქტივების თანხა 650.0 ათას ლარს; წლიური საბალანსო მოგება 78.0 ათას ლარს; წლის განმავლობაში პროცენტისათვის გადახდა შეადგენს 24.0 ათას ლარს; ყველა წყაროს მიხედვით საწარმოს საკუთარი საშუალებანი შეადგენს 680.0 ათას ლარს, ხოლო გრძელვადიანი და სხვა საბრუნავი აქტივების თანხა 240.0 ათას ლარს; მიმდინარე წელს საწარმოს მიერ რეალიზებული იქნა 600.0 ათასი ლარი; ხოლო რენტაბელობის ზღვარმა შეადგინა 60.0 ათასი ლარი; მიმდინარე მარაგების და დანახარჯების საერთო თანხამ შეადგინა 610.0 ათასი ლარი.

გადაწყვეტა:

– ნასესხები საშუალებების საკუთარი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი გაიანგარიშება საწარმოს მთელი აქტივების გაყოფით გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებთან. $650.0 : 480.0 = 1.40$;

– ვალების დაფარვის ვალდებულების კოეფიციენტი გაიანგარიშება წლიური საბალანსო მოგების გაყოფით წლის განმავლობაში პროცენტისათვის გადახდილ თანხასთან. $78.0 : 24.0 = 3.25$;

– საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მიიღება საკუთარ საშუალებებს გამოკლებული გრძელვადიანი და სხვა არასაბრუნავი საშუალებები და გაყოფილი მიმდინარე მარაგების და დანახარჯების თანხასთან. $(680.0 - 240.0) : 610.0 = 0.72$;

– ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი მიიღება საწარმოს მიერ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული რენტაბელობის ზღვარი და გაყოფილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან. $(600.0 - 60.0) : 600.0 = 0.90$.

ამრიგად, აგროსაწარმოს ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ფინანსური მდგომარეობის ინტეგრირებული კოეფიციენტი (მესამე ხარისხის ფესვი წარმოებული-დავალიანების, მიმდინარე ლიკვიდაციის და ვალდებულებათა დაფარვის კოეფიციენტებისაგან).

აგრობიზნესის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოს (ფირმის) ფუნქციონირების ეფექტიანობის კომპლექსური შეფასება. იგი ითვალისწინებს ერთობლივი ეკონომიკური ეფექტის ანალიზს. საამისოდ არსებობს მრავალი მეთოდი:

ეკონომისტების უმეტესობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურად შეფასებისათვის უპირატესობას ანიჭებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ინტენსიურობა; მწარმოებლურობა; რესურსების ანაზღაურება; ფინანსური სასურველობა; რენტაბელობა; შემოსავლიანობა და სხვა.

უცხოელი ეკონომისტები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შეფასების დროს იყენებენ საბაზრო წონასწორობის კონცეფციის ფუნდამენტურ დებულებას, მაგრამ მისი სანიმუშოდ აგრობიზნესში გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს საწარმოს ფუნქციონირების საბაზრო პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს მეწარმეთა (ფერმერთა) ქცევებზე:

– მეწარმეებს (ფერმერებს) არ შეუძლიათ მთლიანად გამოიყენონ ყველა უპირატესობა. სოფელში მცხოვრებთ ძნელად შეუძლიათ მონახონ ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტი;

– აგრობიზნესის შედეგებზე ბუნებრივი ფაქტორების მკვეთრი გავლენა ზღუდავს მათ მიღწევებს;

– სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა ართულებს საბაზრო წონასწორობის კონცეფციის გამოყენებას;

– სამამულო აღრიცხვის პრაქტიკის არსებობა, მიწის საბაზრო შეფასების არ არსებობა შესაძლებლობას არ იძლევა ეკონომიკურად დავასაბუთოდ აგრობიზნესის ეფექტიანობა;

– აგრარული ბიზნესის შეფასება ბიზმესმენების, მენეჯერების, კრედიტორების და სხვათა ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს დამატებით მექანიზმებს. თუ მენეჯერი საბალანსო მოგებაში დაინტერესებულია მოგების კოეფიციენტის ზრდით, რესურსების ბრუნვადობით, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებით, ამ დროს კრედიტორები დაინტერესებულები არიან ლიკვიდურობით და ა.შ.

– განაწილების ანალიზის თეორია არ ადასტურებს მმართველობით გადაწყვეტილებაში ყველა ვარიანტების გამოყენების შესაძლებლობას.

ჩვენი შეხედულებით, ბიზმესმენები, მათი შემოსავლების ზრდასთან ერთად, ორიენტირებული უნდა იყვნენ, კაპიტალის მუდმივ ზრდაზე. ასეთი მიდგომა უნდა გამოვლინდეს მომგებიანობის შეფასების გზით; გაყიდვების რენტაბელობით; ინვესტიციების შემოსავლიანობით; აქტივების შემოსავლიანობით; საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობით; სტაბილურობით (სიცოცხლისუნარიანობით); შემოსავლების დონით (შრომის ანაზღაურება); გაყიდვების მოცულობით (ბაზრის უკუგება); აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტით; მათი ლიკვიდურობით.

აგრობიზნესის შეფასების მოდელი აერთიანებს მომგებიანობის შეფასებას, სტაბილურობას, ლიკვიდურობას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმულის სახით:

$$\begin{aligned}
 & \text{მოგება} + \% \times (1 - \text{გადასახ.}) + \text{ამორტიზაცია} \\
 \text{ე.ე.კ} = & \frac{\text{საინვესტიციო კაპიტალი}}{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}} \times \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{რეალური ამონაგები}} \times \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{აქტივები}} \times \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}}{\text{შრომის ანაზღაურება} + \text{დამატებითი შემოსავალი}} \times \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \times \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{მარაგები} + \text{დანახარჯები}}
 \end{aligned}$$

აღნიშნული ფორმულა ბიზმესმენს შესაძლებლობას აძლევს შეაფასოს ფირმის ეფექტიანობის დონე. თუმცა იგი გასაანგარიშებლად რთულია, ყოველთვის არაა ეკონომიკურად დასაბუთებული, არ არსებობს ექსპორტი. ამიტომ, აგრობიზნესის ყოველდღიურ პრაქტიკაში შეიძლება გამოვიყენოთ საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის შემოკლებული ვარიანტის მოდელი:

ე.ე.კ = $4V$ Kგაყიდვების რენტაბელობი კ-ტი $\times$ Kსაკუთარი კაპიტალის ზრდის კ-ტი $\times$ Kგაყიდვების მოცულობის ზრდის კ-ტი $\times$ Kექსპორტის ზრდის კ-ტი.

ბიზმესმენს უნდა შეეძლოს შეაფასოს თავისი საწარმოს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა პერსპექტივაში. ეს გამომდინარეობს მისი მთავარი მიზნიდან – ჰქონდეს თავისი ბიზნესის დადებითი დინამიკა.

ეკონომიკური ზრდის თეორია ითვალისწინებს ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორიცაა: ფინანსური ეფექტიანობა, საწარმოო და საფინანსო ლევერიჯი.

– ფინანსური ეფექტიანობა საშუალებას იძლევა შევაფასოთ საინვესტიციო შემოსავლიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალი. იგი წარმოადგენს სხვაობას საკუთარ შემოსავლებსა და საინვესტიციო კაპიტალს შორის, გადასახადების გადახდის შემდეგ. ეს ეფექტი გვიჩვენებს, აგ-

რეთვე, თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის შემოსავლები მოზიდული ნასესხები საშუალებების მოზიდვის და საწარმოს ბრუნვის ანგარიშზე. იგი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა საინვესტიციო კაპიტალის შემოსავლების განაკვეთი მეტია სასესხო პროცენტზე.

მაგალითად: ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობა გადასახადების გადახდის შემდეგ შეადგენს 10.0%-ს, ხოლო კრედიტის პროცენტის განაკვეთი 6.0%-ს. შეიძლება გავადიდოთ ფინანსური ბერკეტის მხარე (ნასესხები კაპიტალის წილი).

– საწარმოო ლევერიჯი განისაზღვრება ნატურალურ ერთეულებში გადასახადების და პროცენტის გადახდამდე ნამატი მოგების ტემპების შეფარდებით ნამატი გაყიდვების მოცულობის ტემპებთან. იგი გამოხატავს საწარმოს მოგებაზე პოტენციური შესაძლებლობების გავლენას, პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის და ამონაგების მოცულობის ცვლილების გზით.

ფინანსური ლევერიჯი გამოხატავს ურთიერთკავშირს მოგებასა და საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის. ფინანსური ლევერიჯის ზრდა მიიღწევა მდგრადი ეკონომიკური ზრდით. ამრიგად, საწარმოს ლევერიჯის და ფინანსური ლევერიჯის შეფასებათა მაჩვენებლების განხილვის შემდეგ შეიძლება სარეკომენდაციო მაჩვენებლად მივიჩნიოთ ინტეგრალური ლევერიჯი (I.L.):

$$I.L. = 2V \text{ საწარმოო } \times L \text{ ფინანსური}$$

იგი გამოხატავს საწარმოში ეკონომიკური ზრდის საერთო შესაძლებლობას, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას, თვითღირებულების სტრუქტურისა და ნასესხები კაპიტალის ოპტიმიზაციას.

უკანასკნელი სამი კოეფიციენტის გაანგარიშების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ:

- მოკლევადიანი კრედიტის პროცენტი შეიტანება თვითღირებულებაში და აუცილებელია მისი გაანგარიშების კორექტირება;
- სოფლის მეურნეობა განთავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან;
- ძირითადი ფონდების აქტივების ნაწილი იქმნება ძირითადად ლიზინგის დახმარებით. ლიზინგის ხარჯები შედის თვითღირებულებაში. აუცილებელია მისი გაანგარიშების კორექტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იზოლდა ჭილაძე, მარინა მაისურაძე, ნანა სრესელი, ნადეჟდა კვატაშიძე, ლევან საბაური, მერაბ ჯიქია, მარიამ ვარიამვილი – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ თბილისი 2024 წელი.
2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური – „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 570“ თბილისი 2018 წელი.
3. იზოლდა ჭილაძე „ფინანსური ანალიზი“ თბილისი 2011 წელი.